

კომერციული ბანკების სესხების გაყვანის პალდებულებებისა და აკრედიტივების გახსნის თავისებურებები

გიორგი ხანთაძე, პროფესორი

რეზიუმე

გარესაბალანსო ოპერაციები წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა შეიძლება არ აისახოს საბალანსო უწყისში, იგი მაინც ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი. ასეთ ოპერაციათა შედეგად, ბანკი შეიძლება პირობითი ვალდებულებების წინაშე დადგეს. პირობითი ვალდებულება, რომელიც დამოკიდებულია მეორე მხარის ქმედებებზე, ან მომავალ მოვლენებზე. ტიპურ გარესაბალანსო ანგარიშებს, რომლებიც სესხების შემონებისას მოწმდება, წარმოადგენენ ვალდებულებანი სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები.

მომავალი კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება შეიცვალოს მსესხებლის მდგომარეობა ვალდებულების გაცემასა და უშუალო დაფინანსებას შორის. ამასთან, ვალდებულებებმა შეიძლება ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკიც გამოიწვიოს.

აკრედიტივები წარმოადგენს უცხოური ოპერაციების დაფინანსების ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ინსტრუმენტს. ძირითადად, იყენებენ ორი ტიპის აკრედიტივს: კომერციულ დოკუმენტურსა და სარეზერვოს. ბანკმა უნდა გახსნას აკრედიტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გააჩნია ადეკვატური რესურსები. მიუხედავად იმისა რომ აკრედიტივები ფორმალურად არ წარმოადგენენ სესხებს, ისინი შეიძლება გახდნენ სესხის წარმოქმნის მიზეზი, თუ გადამხდელი მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

საკვანძო სიტყვები: ბანკი, ვალდებულება, აკრედიტივი, სესხი, რისკი.

Summary

Commercial banks' lending commitments and issuing of circular notes

Giorgi Khantadze, Asoc. Prof. of GTU

Off-balance sheet transactions is one of the most important field in a banking activities. In spite of the fact that the activity may not be reflected in the balance sheet, it should be carefully examined. As a result of such operations the bank may face a conditional commitment. It is a conditional commitment when it depends on the action of the other party, or on the future events. Typical off-balance sheet accounts, which are examined while checking the

loans, represent lending commitments and standby circular notes as well.

It is a future lending risk that a borrower's condition may be changed while period, from issuing obligation till a direct funding. In addition to this, liabilities may cause a risk of liquidity and interest rate.

Circular notes are the most widely used tool for funding foreign operations. Two types of circular notes are used: Commercial documentary and standby one. The bank may open a circular note only in case, when it has the adequate resources. In spite of that circular notes do not represent loans, they may become a cause of a loan, if the paying party does not fulfill its obligation.

Keywords: Bank, commitment, letter of credit, loan, risk.

* * * * *

გარე საბალანსო ოპერაციები წარმოადგენს საბანკო საქმიანობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სფეროს. მიუხედავად იმისა, რომ ეს საქმიანობა შეიძლება არ აისახოს საბალანსო უწყისში, იგი მაინც ყურადღებით უნდა იქნეს შესწავლილი. ასეთ ოპერაციათა შედეგად, ბანკი შეიძლება პირობითი ვალდებულებების წინაშე დადგეს. პირობითი ვალდებულება, რომელიც დამოკიდებულია მეორე მხარის ქმედებებზე, ან მომავალ მოვლენებზე.

ტიპურ გარესაბალანსო ანგარიშებს, რომლებიც სესხების შემონებისას მოწმდება, წარმოადგენენ ვალდებულებანი სესხების გაცემაზე და სარეზერვო აკრედიტივები. გარესაბალანსო ანგარიშების შეფასებისას, როდესაც რეიტინგის მინიჭება ხდება, შემოწმებულმა უნდა შეამოწმოს, საკრედიტო ხელშეკრულების თანახმად, ხომ არ აიღო ბანკმა თავის თავზე უპირობო ვალდებულება, დამატებითი თანხების გაცემაზე. თუ მსესხებლის ფინანსურ მდგომარეობაში არსებობს მნიშვნელოვანი სისუსტეები, რომლებმაც, მათი არგამოსწორების შემთხვევაში, შეიძლება სესხის დაბრუნების პერსპექტივებისა და ბანკის მდგომარეობის გაუარესება გამოიწვიოს, ამგვარი ვალდებულებანი შეიძლება მიჩნეულ იქნენ საყურადღებოდ. თუ არსებობს აშკარა სისუსტეები, რომლებიც საფრთხეს უქმნიან კრედიტის დაბრუნების შესაძლებლობას, ამგვარი ვალდებულება შეიძლება ნეგატიურად იქნეს კლასიფიცირებული. ნეგატიურად კლასიფიცირების შემთხვევაში, ამ ვალდებულებებში ნახსენები თანხები უნდა გაიყოს ორ ნაწილად: პირდაპირი თანხები, ანუ თანხები, რომლებიც უკვე ავანსირებულია და არაპირდაპირი თანხები, ანუ თანხები, რომელთა ავანსირება მოსალოდნელია მომავალში.

ვალდებულება სესხის გაცემაზე

ვალდებულება სესხის გაცემაზე განისაზღვრება, როგორც იურიდიულად გაფორმებული ხელშეკრულება სესხის გაცემაზე. ასეთი ვალდებულებისთვის ბანკი იღებს საკომისიოს, ან რაიმე ტიპის სხვა კომპენსაციას. არსებობს ასეთ ვალდებულებათა სხვადასხვა ტიპი. ისინი დამოკიდებულია გასაცემი კრედიტების ტიპებზე. ასეთ ვალდებულებებთან დაკავშირებული რისკი წარმოიქმნება იმის ალბათობიდან, რომ მსესხებლის გადახდისუნარიანობა შეიძლება გაუარესდეს ვალდებულების აღების დღიდან თანხების ავანსირებამდე. იურიდიულად გაფორმებული ვალდებულება სესხის გაცემაზე წარმოადგენს იურიდიულად დადასტურებულ წერილობით ხელშეკრულებას, რომელსაც ხელს აწერენ მსესხებელი და კრედიტორი. მასში აღწერილია ის ვადები და პირობები, რომელთა თანახმად უნდა მოხდეს სესხის გაცემა. ხელშეკრულებაში მითითებულია თარიღი, რომლის შემდეგაც ის ძალას კარგავს. ვადის გაგრძელებაზე თანხმობის სანაცვლოდ ბანკი კლიენტისაგან ითხოვს გადასახადს და/ან რაიმე ტიპის კომპენსაციას.

საკრედიტო ხაზი (ძირითადად, წერილის სახით) ატყობინებს კლიენტს ბანკის მზადყოფნას ასესხოს გარკვეული თანხა განსაზღვრული ვადით. ეს საკრედიტო ხაზები ცნობილია კლიენტისთვის და ისინი, ძირითადად, მოიხსენიება, როგორც „ავიზირებული“ ან „დადასტურებული“ ხაზები. მათგან განსხვავებით, „სახელმძღვანელო“ კრედიტები (ზოგჯერ უწოდებენ შიდა სახელმძღვანელო ხაზებს) არ არის ცნობილი კლიენტებისთვის. „სახელმძღვანელო“ კრედიტები, სხვა სესხებისა და ვალდებულებების მსგავსად, ოფიციალურად მტკიცდება და ეხმარება საკრედიტო განყოფილების მოხელეს, რომელიც ანგარიშს ემსახურება, სწრაფი რეაგირება გააკეთოს ფონდების მოულოდნელ მოთხოვნაზე. ზოგი საკრედიტო ხაზი შეიძლება გაუქმდეს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტის ფინანსური მდგომარეობა გაუარესდება; სხვები კი, ემიტენტის გადანაცვლებისამებრ, უბრალოდ, გაუქმებას ექვემდებარება. საკრედიტო ხაზები, როგორც წესი, მოითხოვენ პერიოდულ ან წლიურ სასესხო მონესრიგებას (განმენდას).

შეიძლება წარმოიშვას უთანხმოება იმის თაობაზე, თუ რა არის იურიდიული ხასიათის ვალდებულება. მაგ. საკრედიტო შეთანხმებას შეიძლება ეწოდოს გამოთხოვადი საკრედიტო ხაზი, მაგრამ, ამავდროულად, იგი შეიძლება იყოს იურიდიული ვალდებულება სესხის გაცემაზე, განსაკუთრებით, იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს გათვალისწინებული აქვს ბანკის დაპირება კრედიტზე და მხარეებს შორის შეთანხმების პირობები ასახულია კონტრაქტში. ბანკის მენეჯმენტმა მყარად უნდა განასხვავოს იურიდიული ხასიათის საკრედიტო ვალდებულებები და გამოთხოვადი საკრედიტო ვალდებულებები. სწორად წარმოებული დოკუმენტაცია არის იმის გარანტი, რომ სასესხო ვალდებულების გაუქმების აუცილებლობის შემთხ-

ვევაში, ბანკის პოზიცია სათანადოდ იქნება დაცული.

მომავალი კრედიტების გაცემასთან დაკავშირებული ძირითადი რისკი იმაში მდგომარეობს, რომ შეიძლება შეიცვალოს მსესხებლის მდგომარეობა ვალდებულების გაცემასა და უშუალო დაფინანსებას შორის. ამასთან, ვალდებულებებმა შეიძლება ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკიც გამოიწვიოს. შემოწმებელმა უნდა შეაფასოს სავარაუდო მოთხოვნილება ემიტენტი ბანკის სასესხო ვალდებულებებზე და ბანკის დასაფინანსებელ წყაროებთან დაკავშირებული სავარაუდო საკრედიტო ხაზები. საკრედიტო ხაზებს შეიძლება ჰქონდეს მსესხებლის სახელზე გამოშვებული აკრედიტივის ფორმა. ასეთ აკრედიტივებს იგივე გირაო აქვთ, როგორც საკრედიტო ხაზებს. თითოეული შემოწმების დროს უნდა შეფასდეს გამოუყენებელი ვალდებულებებისა და ავიზირებული საკრედიტო ხაზების სავარაუდო გამოყენება. თუ დაუფინანსებელი ვალდებულებების მოცულობა უფრო დიდია, ვიდრე ბანკის ლიკვიდობა, შემდგომმა ანალიზმა უნდა დაადგინოს, იყო თუ არა გამოყენებული ნასესხები სახსრები და თუ იყო, ასეთი სახსრების ოდენობა და წყარო.

აკრედიტივი არის ბანკის მიერ კლიენტის დავალებით მისი კონტრაგენტის სასარგებლოდ ხელშეკრულების თანახმად გაცემული ფულადი ვალდებულება, რომლის მიხედვითაც აკრედიტივის გამხსნელ ბანკს (ემიტენტ ბანკს) შეუძლია მიმწოდებელს გადაუხადოს, ან სხვა ბანკს მიანიჭოს ასეთი გადახდის უფლებამოსილება აკრედიტივში გათვალისწინებული საბუთების წარდგენის პირობით, აგრეთვე, აკრედიტივის სხვა პირობების შესრულების შემთხვევაში.

თუ აკრედიტივის წარმომადგენელი ბანკი (ემიტენტი ბანკი) გადამხდელს (მყიდველს) დავალებით გადაუგზავნის სახსრებს სხვა ბანკში აკრედიტივით გათვალისწინებული ყველა პირობის დაცვით გადახდის მოსახდენად, მიმწოდებლის ბანკში გაიხსნება ცალკე შესაბამისი საბალანსო ანგარიში – „აკრედიტივები“. გადამხდელის ბანკში შესული აკრედიტივების აღრიცხვისათვის გაიხსნება გარე-ბალანსური შესაბამისი ანგარიში – „გასანაღდებელი აკრედიტივები“. ამ შემთხვევაში აკრედიტივით გადახდას განახორციელებს უშუალოდ მიმწოდებლის მომსახურე ბანკი.

აკრედიტივები წარმოადგენს უცხოური ოპერაციების დაფინანსების ყველაზე ფართოდ გამოყენებულ ინსტრუმენტს. ძირითადად, იყენებენ ორი ტიპის აკრედიტივს: კომერციულ დოკუმენტურსა და სარეზერვოს.

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი

კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი გამოიყენება იმ შემთხვევაში, როდესაც ხორციელდება გამყიდველიდან მყიდველისთვის საქონლის გაგზავნის დაფინანსება. კომერციული დოკუმენტური აკრედიტივი არის წერილი, რომელიც ბანკის მიერ გამოიწერება საქონლის გამყიდველზე (ბენეფიციარზე) თავად ამ ბანკის ან მისი კლიენტის (საქონლის მყიდველის) სახელით. აკრედიტივის მიხედვით,

გარკვეული პირობების შესრულების შემდეგ, გამყიდველს ეძლევა უფლება გამოწეროს გადასაცემი თამასუქები დადგენილი მოცულობის თანხებზე. ამის შემდეგ, ის იღებს თანხებს ამ თამასუქების მიხედვით. ბენეფიციარს უნაღდებენ თამასუქებს მხოლოდ ბანკის მიერ ყველა საჭირო დოკუმენტაციის მიღების შემდეგ.

კომერციული აკრედიტივები გამოიწერება გამოთხოვის უფლებით (გამოთხოვადი აკრედიტივი) და გამოთხოვის უფლების გარეშე (გამოუთხოვადი აკრედიტივი). გამოუთხოვადი აკრედიტივი წარმოადგენს ისეთ აკრედიტივს, რომლის პირობები არ შეიძლება შეიცვალოს ყველა მონაწილის თანხმობის გარეშე და პირიქით, გამოთხოვადი აკრედიტივი არის ისეთი აკრედიტივი, რომელიც შეიძლება გაუქმდეს, ან რომლის პირობებიც შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს გამომწერი ბანკის მიერ. ამასთან, ბანკი არ არის ვალდებული წინასწარ შეატყობინოს ბენეფიციარს.

გამოუთხოვადი აკრედიტივი არის გამომწერი ბანკის ვალდებულება გადაუხადოს ბენეფიციარს დადგენილი თანხა აკრედიტივის პირობების შესრულების შემთხვევაში. გარდა ამისა, გამოთხოვადი აკრედიტივი არ წარმოადგენს ბანკის კრედიტს. ეს არის ინსტრუმენტი, რომლის საშუალებითაც ხდება ანგარიშსწორება მყიდველსა და გამყიდველს შორის. ვინაიდან გამოთხოვადი აკრედიტივი შეიძლება გაუქმდეს ან შეიცვალოს წინასწარი შეტყობინების გარეშე, ბენეფიციარი ეყრდნობა არა ბანკის, არამედ მყიდველის სურვილსა და შესაძლებლობას, შეასრულოს დადებული კონტრაქტის პირობები.

როგორც წესი, აკრედიტივი ეგზავნება, უშუალოდ, ბენეფიციარს ან მის გადასაცემად ბანკი იყენებს თავის კორესპონდენტ ბანკს, რომელიც განლაგებულია ბენეფიციარის მახლობლად. ხშირად, კორესპონდენტი ბანკი გამოდის „მრჩეველი“ ბანკის როლში, ანუ ასრულებს აკრედიტივის გამომწერი ბანკის აგენტის ფუნქციებს. გარდა ამისა, ის საკუთარ თავზე არ იღებს რაიმე ვალდებულებას. ავიზირებულ აკრედიტივზე კეთდება ბანკის წარწერა იმის შესახებ, რომ ის უშუალოდ არაა ჩართული ამ ოპერაციაში. ამრიგად, ავიზირებული აკრედიტივის მიხედვით, გადახდა წარმოებს გამომწერი და არა ავიზირებული ბანკის მიერ.

ზოგიერთი ბენეფიციარი, რომელიც არ იცნობს აკრედიტივის გამომწერ ბანკს, ითხოვს გამოუთხოვადი აკრედიტივების „დადასტურებას“ ადგილობრივი ბანკის მიერ. აკრედიტივის დადასტურებისას, დამადასტურებელი ბანკი, აკრედიტივის წინა მხარეს აწერს: „ვიღებ ვალდებულებას, გავანაღდო ამ აკრედიტივის მიხედვით გამომწერი ყველა თამასუქი“, ან აკეთებს რაიმე მსგავს წარწერას. ამით, დამადასტურებელი აკრედიტივის ბენეფიციარი იღებს გარკვეულ ვალდებულებას დამადასტურებელი ბანკისგან და აღარ წუხს იმაზე, თუ რამდენად შეასრულებს აკრედიტივის გამომწერი ბანკი თავის ვალდებულებას. ხშირია შემთხვევა, როდესაც ერთი

ბანკი ასრულებს რამდენიმე ფუნქციას. მაგალითად, აკრედიტივის ავიზირებისას ბანკი ახდენს მის დადასტურებას და თავის თავზე იღებს ამ თანხების გადახდას.

გამომწერილი თამასუქების განაღდება შეიძლება მოხდეს მათი წარდგენისას ან ერთიდან 180 დღემდე პერიოდის განმავლობაში. გარდა ამისა, ზოგჯერ გამოიყენება სხვა პირობებიც. აკრედიტივში განსაზღვრულია, თუ რომელ ბანკზე და რა პირობებით უნდა გამოიწეროს თამასუქი. როცა თამასუქი გამოიწერება წარმომდგენზე, ბანკი მას წარდგენისას ანაღდება იმ პირობით, რომ აკრედიტივის პირობები შესრულებულია. ვადიანი თამასუქის გამომწერისას ბანკი ახდენს მის აქცეპტირებას და მას ზევიდან აწერს: „აქცეპტირებულია“. შემდეგ კლიენტი იტოვებს ამ თამასუქს განაღდების ვადის დადგომამდე ან ყიდის მას საბანკო აქცეპტების ბაზარზე, ნომინალური ღირებულებით, ან ფასდაკლებით.

ზოგიერთი სახის კომერციული აკრედიტივი, როგორცაა „საკომპენსაციო“ და „წითელი პირობის აკრედიტივები“, შეიცავენ გარკვეული რისკის მქონე ელემენტებს. აქედან გამომდინარე, მათი გამომწერისას ან მომსახურებისას, ბანკებმა გარკვეული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ. იგივე ეხება გადავადებული გადახდის მქონე აკრედიტივებს, ისინი უშუალოდ აისახებიან ბანკის აქტივებში და ვალდებულებებში ბანკში მათი და ბენეფიციარის აუცილებელი დოკუმენტების მიღების შემდეგ. ასეთ აკრედიტივთან დაკავშირებული რისკი იზრდება კრედიტის ვადიანობასთან ერთად.

იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი აწარმოებს ოპერაციებს აკრედიტივების გამოყენებით, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება აუცილებელ დოკუმენტებს. ამიტომ ბანკმა ყურადღებით უნდა შეამოწმოს ყველა საბუთი, რათა დარწმუნდეს, რომ ისინი აკრედიტივის ყველა პირობას აკმაყოფილებენ. ხშირ შემთხვევაში, ოპერაციის წარმოებისას, აკრედიტივებთან ერთად გამოიყენება წარმომდგენზე გამომწერილი თამასუქები, აქცეპტები, სასაწყობო ქვითრები ან ქვითარ-მინდობილობებზე გამომწერილი ავანსები. ამასთან, საბოლოო გადახდა ხშირად დამოკიდებულია ჩამოტანილი საქონლის საბოლოო რეალიზაციაზე. ამრიგად, აკრედიტივების გამოყენებით ოპერაციების დაფინანსებისას, უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება გამოყენებული დოკუმენტების სისწორეს და მათ სწორ დამუშავებას.

სარეზერვო აკრედიტივები

სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, გამომწერი ბანკი თავის თავზე იღებს ვალდებულებას გადაუხადოს ბენეფიციარს დადგენილი თანხა იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი მხარე ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამასთან, სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება გამოყენებულ იქნეს კომერციული გარიგებების წარმოებისას, მაგრამ უშუალოდ ის არ არის დაკავშირებული გამყიდველიდან მყიდველამდე საქონლის გადაზიდვასთან. ის შეიძლება ეხებოდეს საამშენებლო კონტრაქტის შესრულებას ან გამოყ-

ენებულ იქნას, როგორც გარანტია ბანკის წინაშე, რომ საქონლის გამყიდველი შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, ან უკავშირდებოდეს წმინდა ფინანსური ვალდებულების შესრულებას, მაგალითად, როდესაც კრედიტი გამოიყენება როგორც გარანტია იმისა, რომ ფასიანი ქაღალდების განაღდება მოხდება დაფარვის ვადის დადგომისას. ამრიგად, კომერციული აკრედიტივისგან განსხვავებით, სარეზერვო აკრედიტივის გამოწერისას ბანკი სხვა როლს ასრულებს. ნებისმიერი აკრედიტივის შემთხვევაში ბანკი გულისხმობს, რომ კლიენტს ექნება საკმარისი ფინანსური შესაძლებლობა თავისი ვალდებულებების შესასრულებლად. როგორც წესი, მას შემდეგ, რაც ბანკი იხდის თანხებს კომერციული აკრედიტივის მიხედვით, კლიენტი დაუყოვნებლივ ახდენს ამ თანხების ანაზღაურებას და ეს თანხები არ იქცევა სესხებად. ამასთან, იმ შემთხვევაში, როდესაც ბანკი იხდის თანხებს სარეზერვო აკრედიტივის მიხედვით, ეს ნიშნავს, რომ კლიენტმა ვერ შეასრულა ნაკისრი ვალდებულებები და ის სავარაუდოდ ამ თანხებს ვერ ანაზღაურებს.

კომერციული აკრედიტივების გამოწერასთან შედარებით, სარეზერვო აკრედიტივების გამოწერა დაკავშირებულია პოტენციურად უფრო მაღალ საკრედიტო რისკთან. თუ ოპერაცია არ არის მთლიანად უზრუნველყოფილი, სარეზერვო აკრედიტივის გამომწერ ბანკს არ გააჩნია რაიმე საშუალება მოსალოდნელი ზარალის თავიდან ასაცილებლად, მაშინ, როდესაც კომერციული აკრედიტივების შემთხვევაში, ბანკს რჩება საბუთები გამოგზავნილ საქონელზე. ამის, გამო, სარეზერვო აკრედიტივებთან დაკავშირებული რისკის შემცირების მიზნით, აკრედიტივის გამომწერმა ბანკმა, ისევე, როგორც სესხის გაცემის შემთხვევაში ხდება ხოლმე, უნდა გააანალიზოს გადამხდელი მხარის კრედიტუ-ნარიანობა. ანგარიშგების მიზნებისთვის, სარეზერვო აკრედიტივი აისახება, როგორც მოსალოდნელი (პოტენციური) ვალდებულება.

აკრედიტივი ეხება, მინიმუმ, სამ მხარეს და არსებობს სამი განსხვავებული კონტრაქტი:

- კონტრაქტი გადამხდელ მხარესა და ბენეფიციარს შორის, რომლის თანახმადაც გადამხდელი მხარე ღებულობს ვალდებულებას გადახდასა, თუ რაიმე პირობის შესრულებაზე.
- კონტრაქტი გადამხდელ მხარესა და აკრედიტივის გამსხნელს შორის (აკრედიტივის გამსხნელი – ეს არის მხარე, რომელიც თავის თავზე იღებს ვალდებულებას გარკვეული თანხების გადახდაზე, როცა შესრულდება აკრედიტივის პირობები, ხოლო გადამხდელი მხარე იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის ანაზღაურებაზე).

- კონტრაქტი აკრედიტივის გამსხნელსა და ბენეფიციარს შორის, როდესაც აკრედიტივის გამსხნელი მხარე იღებს ვალდებულებას ბენეფიციარის აკრედიტივში ნახსენები პირობების შესრულების შემთხვევაში თანხების გადახდაზე.

აკრედიტივების უმრავლესობა არაგარანტირებულია და გულისხმობს გადამხდელი მხარის კრედიტის შეცვლას ბანკის კრედიტით. ეს ხდება მაშინ, როდესაც საჭიროა ბენეფიციარის დარწმუნება ბანკის კლიენტის კრედიტუნარიანობასა და მის მიერ თავისი ვალდებულებების აკრედიტივში ნახსენები პირობებისა და ვადების თანახმად შესრულებაში. სარეზერვო აკრედიტივი ეს არის უპირობო ვალდებულება აკრედიტივის გამსხნელი მხარის (ბანკის) მხრიდან, გადაუხადოს კონკრეტულ ბენეფიციარს იმ შემთხვევაში, თუ ბანკის კლიენტი (გადამხდელი მხარე) ვერ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

აკრედიტივის ანალიზის მიზნებისთვის, სარეზერვო აკრედიტივები შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სესხები, რომელთა რისკიც ბანკის მიერ კლიენტზე სესხის გაცემასთან დაკავშირებული რისკის ანალოგიურია. სარეზერვო აკრედიტივები შეიძლება დაიყოს ორ ტიპად – „ფინანსური ტიპისა“ და „არაფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივებად.

„ფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივები იძლევიან ფინანსური დოკუმენტების მიხედვით გადახდის გარანტიას. „არაფინანსური ტიპის“ სარეზერვო აკრედიტივები, როგორც წესი, გამოიყენება, როგორც საკონტროლო გარანტიები, როდესაც საქმე ეხება გარკვეული პროექტების შესრულების გარანტიას (მაგალითად, როგორიცაა გზების მშენებლობა, ან ჯარიმის გადახდის გარანტია, როდესაც მომწოდებელი ვერ უზრუნველყოფს საქონლის მიწოდებასა და სამუშაოს ჩატარებას კონტრაქტის პირობების მიხედვით). ძალზე მნიშვნელოვანია, რომ შემომწმებლებმა სწორად შეაფასონ რისკების ის ელემენტები, რომლებიც დაკავშირებულია საბანკო დაწესებულებაში აკრედიტივების გაცემის არსებულ პრაქტიკასთან. შემომწმებლებმა უნდა შეაფასონ საბანკო დაწესებულების კონტროლის სისტემა, რომელსაც რისკის შემცირება შეუძლია (აქ იგულისხმება პერსონალის გამოცდილება, დოკუმენტაციის სწორად წარმოება და რისკების ადეკვატური შეფასება). აკრედიტივის გახსნის სტანდარტები უნდა იყოს არანაკლებ მკაცრი, ვიდრე სესხის გაცემის სტანდარტები. ამიტომ, აკრედიტივების პორტფელი მოითხოვს ისეთივე დანვრილებით შემოწმებასა და შესწავლას, როგორც სასესხო პორტფელი. გადამხდელი მხარის არასწორმა ქმედებამ ან მის მიერ აკრედიტივის პირობების შეუსრულებლობამ შეიძლება ისეთივე გავლენა იქონიოს, როგორც არასწორად გაცემულმა სესხებმა.

კომერციული აკრედიტივებისგან განსხვავებით სარეზერვო აკრედიტივის მიხედვით თანხების გადახდაზე მოთხოვნა მიუთითებს იმაზე, რომ მყიდველს ფინანსური პრობლემები გაუჩნდა, მაშინ როდესაც თანხების გადახდა კომერციული აკრედიტივის მიხედვით მიუთითებს იმაზე, რომ გადამხდელი მხარე აგრძელებს თავის ჩვეულებრივ საქმიანობას. სარეზერვო აკრედიტივები ძალზე გავრცელებულია, მაგრამ მათთან გარკვეული რისკია დაკავშირებული. ქვემოთ გთავაზობთ იფორმაციას სარეზერვო აკრედიტივების გამოყენებისა და მათთან დაკავშირებული

ირებული რისკის შესახებ.

სარეზერვო აკრედიტივის გამოყენების სფერო პრაქტიკულად შეუზღუდავია; ყველაზე გავრცელებულია შემდეგი შემთხვევები:

უძრავი ქონების განვითარების პროექტები. იპოთეკური კრედიტის გაცემა შეიძლება დასაბუთებულ იქნეს იმ თანხებით, რომლებიც ამ პროექტის შემსრულებლის მიერ პროექტშია ჩადებული. მიუხედავად ამისა, კრედიტორმა შეიძლება განაცხადოს, რომ მსესხებელს აქვს უძრავ ქონებაში დაბანდებად გარკვეული კაპიტალი და არ გააჩნია თავისუფალი სახსრები, რადგან ისინი დაბანდებად სხვა ობიექტებში. მხარეები ხშირად იყენებენ აკრედიტის, რათა დააკმაყოფილონ მოთხოვნა კაპიტალზე, ნაღდი თანხების გამოყენების გარეშე.

თამასუქების უზრუნველყოფა. ზოგ შემთხვევაში კრედიტორმა შეიძლება მოსთხოვოს მოვალეს ჩვეულებრივი თამასუქის გარანტია სხვა ბანკის სარეზერვო აკრედიტივის საშუალებით.

ვაჭრობის აუცილებლობიდან გამომდინარე კონტრაქტების გარანტია. ამ შემთხვევაში სარეზერვო აკრედიტივი კონტრაქტის გარანტიის ანალოგიურია. ხშირად საქონლის მომწოდებელი სთხოვს მსესხებელს მოიპოვოს კომერციული აკრედიტივი გადახდის გარანტიისთვის. ამასთან, მყიდველმა შეიძლება მოსთხოვოს საქონლის მომწოდებელს სარეზერვო აკრედიტივი, რათა გარანტირებულ იქნეს საქონლის მოწოდება სათანადო ვადებში და სათანადო პირობების თანახმად.

ფასიანი ქაღალდების გარანტია. სარეზერვო აკრედიტივი გამოიყენება იმ ვალდებულებათა გარანტიისთვის, რომლებიც დაკავშირებულია ისეთი ფასიანი ქაღალდების განთავსებასთან, როგორიცაა მუნიციპალური და სახელმწიფო ობლიგაციები. თუ ამ ვალდებულებათა შესრულება გარანტირებულია სარეზერვო აკრედიტივის თანახმად, მაშინ ამ ფასიანი ქაღალდების რეიტინგი უფრო მაღალი, ხოლო მათი საპროცენტო განაკვეთი უფრო დაბალია.

მუნიციპალური ობლიგაციების გარანტიის მიზნით გამოწერილი სარეზერვო აკრედიტივები

სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება გამოწერილი იყოს მუნიციპალური ობლიგაციების გარანტირების მიზნით, ასეთი ობლიგაციები დაკავშირებულია რეგიონის განვითარების ისეთ პროექტებთან, რომლებიც გასდასახადებისგან თავისუფალი, ან ჩვეულებრივი სასესხო ობლიგაციების საშუალებით ფინანსირდება.

უმეტეს შემთხვევაში, სარეზერვო აკრედიტივი გამოიწერება ობლიგაციების ნომინალზე მაღალი თანხით და, ამგვარად, ხდება ობლიგაციების მფლობელთა პროცენტების გადახდა, პროცენტების გადახდის დღეებს შორის არსებული დროის შუალედებში. როგორც წესი, ასეთი სარეზერვო აკრედიტივი გარანტირებულია ბანკის პრიორიტეტული უფლებით იმ ქონებაზე, რომლითაც ძირითადი თანხაა გარანტირებული. სარეზერვო აკრედიტივების გამოწერისა და კრედიტების ანალიზის სტანდარტებ-

ში უნდა აისახოს მსგავსი სესხების გაცემაზე არსებული სტანდარტები. განვითარების პროექტის შემსრულებელი, პერიოდულად უხდის პროცენტებს ობლიგაციების მფლობელებს და ბანკს უხდის სარეზერვო აკრედიტივის საფასურს. იმ შემთხვევაში, თუ გადამხდელი არ შეასრულებს ობლიგაციების მფლობელთა წინაშე ნასკის ვალდებულებებს, მაშინ მფლობელებისთვის თანხების გადახდის მიზნით გამოიყენება სარეზერვო აკრედიტივი. ამრიგად, ბანკმა უნდა მოახდინოს სარეზერვო აკრედიტივის გამოწერასთან დაკავშირებული მთლიანი რისკის შეფასება.

მიუხედავად იმისა, რომ უმეტეს შემთხვევაში სარეზერვო აკრედიტივების გამოწერისას იგულისხმება, რომ აუცილებელია მათი პერიოდული განახლება, შემოწმებელმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ ბანკი ვერ აიცილებს თავიდან ვალდებულებას, რომელიც ეხება აკრედიტივის განახლებას. ყველა სასესხო ობლიგაციის გამოშვებისას, ობლიგაციის პირობებში ნახსენებია, რომ სარეზერვო აკრედიტივის არგანახლების შემთხვევაში, ბანკმა წინასწარ უნდა გამოგზავნოს შეტყობინება. ამგვარი შეტყობინების მიღების შემთხვევაში, იმ მუშაკმა, რომელიც პასუხისმგებელია აკრედიტივის მიხედვით სესხების გაცემაზე, შეიძლება ჩათვალოს ასეთი შეტყობინება ხელშეკრულების შეუსრულებლობის ნიშნად და გამოიტანოს თანხები არსებული აკრედიტივიდან. აქედან გამომდინარე, ბანკმა უნდა დაიცვას თავი არსებული პროექტისა და სასესხო ობლიგაციების მდგომარეობის გამუდმებული მონიტორინგის საშუალებით. ყველა დოკუმენტური მონაცემი უნდა გროვდებოდეს ბანკის საქმეებში, რათა დადასტურდეს არსებული უძრავი ქონების მდგომარეობა, ნაღდი თანხების ნაკადის სიდიდე და სესხის ობლიგაციების მდგომარეობა.

ბანკის მიერ უნდა სრულდებოდეს ყველა იმ მოთხოვნის მონიტორინგი, რომლებიც დაკავშირებულია სასესხო კონტრაქტში ნახსენები თანხების ათვისებასთან. ზოგიერთ შემთხვევაში, აკრედიტივის განახლება ხდება ავტომატურად, თუ აკრედიტივის გამომწერი ბანკი არ გამოუგზავნის ბენეფიციარს შეტყობინებას (ჩვეულებრივად, 30 დღით ადრე) აკრედიტივის მოქმედების შეწყვეტის შესახებ. ბანკი პასუხისმგებელია შეტყობინების გაგზავნაზე. იმ შემთხვევაში, როდესაც არ არსებობს საიმედო გარანტორი ან გირაოში არ არის ჩადებული რაიმე მნიშვნელოვანი კაპიტალი, ამგვარი აკრედიტივები ხასიათდებიან მაღალი რისკით. იმ შემთხვევაში, როდესაც სარეზერვო აკრედიტივი გადაიქცევა გაცემულ სესხად, ასეთი სესხი შეიძლება კლასიფიცირებული იქნეს, როგორც არასტანდარტული ან უფრო დაბალი კატეგორიის სესხი. ბანკმა შეიძლება დაიცვას თავი ასეთი რისკისაგან, თუ ის გააფორმებს წარმოების საშუალებათა ან საცხოვრებელი ფართის მფლობელთან ისეთ გრძელვადიან საიჯარო ხელშეკრულებას, რომელიც მთავრობის საგარანტიო ვალდებულებებით იქნება გარანტირებული.

აკრედიტივის გახსნასთან და აქცეპტირებასთან დაკავშირებული რისკი

ფინანსურმა დაწესებულებამ უნდა იცოდეს იმ საკრედიტო რისკის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტივის გახსნასთან. ბანკმა უნდა გახსნას აკრედიტივი მხოლოდ მაშინ, როდესაც მას გააჩნია ადეკვატური რესურსები. მიუხედავად იმისა რომ აკრედიტივები ფორმალურად არ წარმოადგენენ სესხებს, ისინი შეიძლება გახდნენ სესხის წარმოქმნის მიზეზი, თუ გადამხდელი მხარე არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს. ამიტომ, ბანკმა უნდა გამოიყენოს ისეთივე უსაფრთხოების სტანდარტები და წესები, რომლებიც გამოიყენება კომერციული კრედიტის გაცემისას. კიდევ ერთხელ გვინდა გავუსვათ ხაზი ადეკვატური დოკუმენტაციის წარმოების მნიშვნელობას. კომერციული აკრედიტივი, წარმოადგენს იმ ფინანსური გარიგებების უწყვეტი სერიის ნაწილს, რომელიც დაკავშირებულია აკრედიტივის თანახმად გამოწერილი ტრატების აქცეპტირებასთან. გადახდილი თანხების სიდიდე შეიძლება დამოკიდებული იყოს იმაზე, თუ რამდენად კარგად სალდება საქონელი, თუმცა საქონელი შეიძლება არ იყოს დაგირავებული. ამრიგად, დოკუმენტების სწორად წარმოება წარმოადგენს ბანკის უპირველეს საზრუნავს.

ხშირ შემთხვევაში, აკრედიტივების გახსნა ხდება ტელექსის საშუალებით, რომელიც იძლევა საშუალებას დადასტურებულ იქნეს გამგზავნის ვინაობა (როგორც წესი აქ იგულისხმება მეორე ბანკი). არავითარ შემთხვევაში ბანკმა არ უნდა მოახდინოს ბენეფიციარის მიერ წარდგენილი აკრედიტივის აქცეპტირება მანამ, სანამ ის არ მიიღებს მისი აუტენტურობის (სინამდვილის) დადასტურებას. ყოველთვის არსებობს იმის ალბათობა, რომ აკრედიტივი შეიძლება იქცეს ბენეფიციარის, ბანკის კლიენტის ან აკრედიტივის გამომწერი ბანკის ინსაიდერის თაღლითობის ობიექტად. გარდა ამისა, სარეზერვო აკრედიტივი შეიძლება იქნეს გამოყენებული, როგორც ინსტრუმენტი ბანკის დირექტორებისა და მუშაკების მიერ სხვა ბანკში კრედიტების მიღებისათვის. საბანკო ნორმატივების თანახმად სარეზერვო აკრედიტივები უნდა იქნეს მიღებული მხედველობაში, როდესაც ხდება მთლიანი სასესხო დავალიანების გაანგარიშება.

აქედან გამომდინარე, აკრედიტივის გამომწერისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთივე შიდა კონტროლის მექანიზმები, რომლებიც გამოიყენება სხვა ტიპის კრედიტების გაცემისას. ამგვარი კონტროლი გულისხმობს ორმაგ ნებართვას აკრედიტივის გამომწერაზე და აკრედიტივის რეგისტრაციის, აქცეპტირებისა და აკრედიტივის მიხედვით თანხების გაცემის ფუნქციათა გამიჯვნას.

სხვა ბანკების მიერ გახსნილი აკრედიტივების აქცეპტირებისას აუცილებელია მათი დეტალური გადამოწმება. უნდა არსებობდეს ორმაგი ნებართვა მის აქცეპტირებაზე. აკრედიტივის გამხსნელმა ბანკმა შეიძლება ვერ შეძლოს ან არ მოინდომოს თავისი აკრედიტივის ან სარეზერვო აკრედიტივის

აქცეპტირება იმ მოტივით, რომ ის მიიჩნის ყალბად ან განაცხადოს, რომ აკრედიტივზე ხელისმომწერს არ ჰქონდა ამის გაკეთების უფლება. აკრედიტივის აქცეპტირებამდე ბანკმა უნდა მიიღოს მისი სინამდვილის წერილობითი დადასტურება, რომ სათანადო პირობების შესრულებისას იგი იქნება აქცეპტირებული. ხელშეკრულება აკრედიტივის გამხსნელ ბანკთან უნდა გამოიგზავნოს დამოწმებული ტელექსით და უნდა მოიცავდეს იმ განსაკუთრებულ პირობებს, რომელთა შესრულების შემთხვევაში მოხდება მისი აქცეპტირება. რისკის მინიმუმზე დაყვანის მიზნით, პირობები, რომლებიც არის ნახსენები ხელშეკრულებაში, ზუსტად და განუხრელად უნდა იქნეს დაცული. სარეზერვო აკრედიტივის შემოწმება უნდა ჩატარდეს დამოუკიდებლად ორი ან ორზე მეტი პირის მიერ, რათა თავიდან იქნეს აცილებული ამ საქმეში დაკავებულ მუშაკთა არაკეთილსინდისიერი ქმედების შესაძლებლობა.

დასკვნა

ზოგიერთი სასესხო შეთანხმება მოიცავს „მატერიალური მდგომარეობის გაუარესების“ მუხლს, რომლის თანახმად ბანკი უფლებამოსილია მოახდინოს საკრედიტო ხაზის ვალდებულების ანულირება კლიენტის ფინანსური მდგომარეობის გაუარესების შემთხვევაში. ეს მუხლი შეიძლება გარანტირების ფინანსურ მდგომარეობასაც მოიცავდეს. აღნიშნული მუხლის გამოყენება შესაძლებელია მაშინ, თუ ძალაში რჩება იურიდიული ხასიათის ურთიერთობანი, მიუხედავად სპეციფიკური ფინანსური შეთანხმებების დარღვევისა. ზოგიერთი დოკუმენტი ძალიან ბუნდოვანად ასახავს მსესხებლის ვალდებულებას დამაკმაყოფილებელი ფინანსური მდგომარეობის შენარჩუნების შესახებ. შემოწმებელმა ყურადღებით უნდა გადასინჯოს სასესხო შეთანხმებები, რათა განსაზღვროს, არის თუ არა ბანკი იურიდიულად ვალდებული თანხების გაცემაზე.

აკრედიტივების გამომწერისა და გაყიდვის (გადაცემის) წესები განისაზღვრება შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტებით, რომლებიც შემუშავებულია საერთაშორისო კომერციული პალატის მიერ. ამ სტანდარტების მიხედვით, ყველა აკრედიტივი უნდა გამოიწეროს:

- კონკრეტული ბენეფიციარის სახელზე;
- განსაზღვრული რაოდენობის თანხაზე;
- ისეთი ფორმით, რომელშიც მკაფიოდ იქნება მითითებული, თუ როგორ და რა პირობებით მოხდება ბენეფიციართან ანგარიშსწორება;
- მოქმედების კონკრეტული ვადით.

იმ შემთხვევაში, როცა აკრედიტივის მიხედვით გადასახდელი თანხების გადახდის ალბათობა დიდია, მაგრამ გადამხდელ მხარეს არ შესწევს უნარი აუნაზღაუროს ბანკს ეს თანხები აკრედიტივის პირობების მიხედვით, მაშინ აკრედიტივი შეფასებულ უნდა იქნეს ნეგატიურად. გარდა ამისა, თუ არსებობს ზარალის დიდი ალბათობა და შესაძლებელია ამ ალბათობის დადგენა, მაშინ უნდა მოხდეს ბანკის მოგებიდან

თანხების გადარიცხვა მოსალოდნელი ზარალის დასაფარავად. ზარალის აღბათობის დადგენა, უნდა იქნეს შესრულებული მენეჯმენტთან მოლაპარაკების შედეგების გამოყენებით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. caava g. xanTaZe g.-sabanko menejmenti (Teoria, meTodebi da praqtika), saxelmZRvanelo, gamomc. “dani”, 2015.(Georgian)

ცაავა გ. ხანთაძე გ. - საბანკო მენეჯმენტი (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, გამომც. “დანი”, 2015.

2. caava g. xanTaZe g.-sabanko saqme (Teoria, meTodebi da praqtika), saxelmZRvanelo, gamomc. “dani”, 2014. (Georgian)

ცაავა გ. ხანთაძე გ. - საბანკო საქმე (თეორია, მეთოდები და პრაქტიკა), სახელმძღვანელო, გამომც. “დანი”, 2014.

3. Lothrop H.,- How to Protect Your Bank from Rising Interest Rates: A Practical Guide to Community Bank Hedging Solutions, 2013.

4. Clifford Gomez.;-Banking and Finance-Theory, Law and Practice.;-PHI Learning Private limited, New Delhi. 2013.

5. Benton E. Gup.;-Banking and Financial Institutions;-A Guide for Directors, Investors, and Counterparties.;-Publ. by John Wiley & Sons Inc., Hoboken, New Jersey.; 2011.

6. Боди, З., Мертон Р.. Финансы: Пер. с англ. М.: Вильямс, 2004.

7. Пол Х. Аллеи. Реинжиниринг банка: программа выживания и успеха: Пер. с англ. М.: Альпина Паблишер, 2002.